2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 1 626,6 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება.

2.2.1 ა(ა)იპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება 632,1 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის აღწერა: ა(ა)იპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება ახორციელებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის და ტერიტორიაზე გამავალი გზატკეცილების დაგვა-დასუფთავებას საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან, ნარჩენების გატანას, აგრეთვე, გარე განათების ქსელების მომსახურება, სანიაღვრე და საწრეტი არხების დანალექებისაგან გაწმენდასა და გატანას, უმეთვალყურეოდ მოხეტიალე მხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაკავება-იზოლაციას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- დასუფთავებული ქალაქი
- ღამის საათებში განათებული ქალაქი
- დასუფთავებული წყალგამტარი არხები

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება

2.2.2 დასუფთავება 15,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 02)

დასუფთავების ღონისძიებები - სამტრედიის მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადებების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

2.2.3 ბინათმშენებლობა 648,9 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქ.სამტრედიაში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავებისა და შიდა კომუნიკაციების რეაბილიტაციას. ადგილობრივი ბიუჯეტით ქვეპროგრამის ფარგლებში აღნიშნული სამუშაოები ფინანსდება 605,4 ათ. ლარით.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის №480 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის №569 განკარგულებით შეტანილი ცვლილების თანახმად სამტრედიის მუნიციპალიტეტს მრავალსართულიანი ბინების გადახურვისთვის გამოეყო 43,5 ათ. ლარი, ხოლო პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანახაურობელი თანხა შეადგენს 243,5 ათ. ლარს, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებას



საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილება მუხლი 3 პრიმა 1 თანადაფინანსების წესის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მიერ ასანაზღაურებელი თანხა განისაზღვრა პროექტების ჯამური ღირებულების ფარგლებში არანაკლებ 5 %-ის ოდენობით, რომელმაც შეადგინა 200,0 ათ. ლარი.

2.2.4 წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 30,0 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებაში მყოფი სასმელი წყლის სოკოების, შადრევნების წყლის ხარჯების დაფინანსება, წყლის სისტემების მოწყობა-მომსახურება.

2.2.5 გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 300,6 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 03 02 05)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის განათების მომსახურება და საახალწლო-საშობაო ღონისძიებებისათვის ქუჩების დეკორატიული განათებები, ასევე არსებული განათებების რეაბილიტაცია და ახლის მოწყობა.

2.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები 342,9 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება.

2.3.1 საკადასტრო რუკების მომზადება და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება 5,0 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 03 03 01)

სამტრედიის მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების, ასევე საპრივატიზაციო მიწების საკადასტრო აზომვითი ნახაზების, მუნიციპალიტეტის განვითარებასთან დაკავშირებული გეგმების, პროგრამებისა და სხვა დოკუმენტების მომზადება. სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი პროგრამების, პროექტების, საკადასტრო რუკების, სხვა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მომზადება და დაფინანსება.

2.3.2 სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები 173,9 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 03 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქალაქის ტერიტორიაზე მოსახლეობასთან მჭიდრო ურთიერთობისათვის, საზოგადოების მეტი ჩართულობისა და ინფორმაციისათვის ელექტრომონიტორის დამონტაჟება, ასევე, ბანერის შეძენა და დიდი სამამულო ომისა და სამშობლოს დაცვისას დაღუპულ მებრძოლთა მემორიალების რეაბილიტაცია - 65,0 ათ. ლარი.

2.3.4 ა(ა)იპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება 164,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება გაერთიანების მიმდინარე ხარჯები და ხელფასი.

- პარკების ინფრასტრუქტურის განვითარება, კეთილმოწყობა;
- პარკების სანიტარული დაცვის უზრუნველყოფა;
- თანამშრომლობა სხვადასხვა ტიპის სამსახურთან;
- სანერგე მეურნეობის მოწყობა და ექსპლოატაცია, ხე-ნარგავების გაშენება;
- პანთეონისა და სასაფლაოების ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება;
- ტერიტორიაზე მდებარე ხეების, ბუჩქებისა და ბაღების გაკრეჭვა და მოვლა;
- წესდებით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკების კეთილმოწყობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანებითი სამუშაოების შესრულება;
- სანერგე მეურნეობის აღდგენა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პანთეონისა და სასაფლაოების კეთილმოწყობა;
- ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.



შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- კეთილმოწყობილი პარკები;
- გამწვანებული ქალაქი;
- სანერგე მეურნეობის კეთილმოწყობა;
- კეთილმოწყობილი პანთეონი და სასაფლაოები;
- კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა.

2.4 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები 98,3 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდება გარე განათების ღამპიონების შექმნა.

2.5 სოფლის მეურნეობის განვითარება 3,6 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 05)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივ ფერმერთათვის აგროტურების მოწყობას.

3. განათლება 1 950,7 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად სამტრედიის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. ასევე, პროგრამაში შემავალი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის უმთავრესი მიზანია ახალი თაობის აღზრდა თანამედროვე მეთოდებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, სკოლისგარეშე დამატებითი განათლების უზრუნველყოფა.

3.1. ა(ა)იპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება 1 421,0 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის აღწერა: სამტრედიის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ააიპ „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება“, რომელიც აერთიანებს 23 საბავშვო და ბაგა-ბაღს, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1935 ბავშვი. საბავშვო ბაღებში ერთი ბავშვის კვების ღირებულება შეადგენს დღეში 1,20 ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მ.შ. მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს, ბავშვთა კვების ხარჯს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. ასევე განხორციელდება არსებული ბაღების რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ზოგად განათლებაზე ორიენტირება;
- მრავალმხრივად განვითარება;
- მომზადება ზოგადსაგანმანათლებლო დაწყებითი საფეხურის გამოწვევისათვის.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- დაწყებითი კლასების აღსაზრდელთა მაღალი აკადემიური მოსწრება;
- აღსაზრდელთა სკოლისათვის მომზადება.

3.2 ა(ა)იპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი 164,0 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 04 03)

ქვეპროგრამის აღწერა: ფინანსდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სადაც ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები, ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელები აქტიურად მონაწილეობენ რაიონულ, რეგიონალურ, რესპუბლიკურ ფესტივალ - კონკურსებში, ემსახურება მომავალი თაობების ინტელექტუალურ, ესთეტიკურ-ხელოვნობრივ აღზრდას.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს რაიონული მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მუზეუმის



2017 წლის პროგრამა სამტრედიის რაიონის ისტორიის შესწავლა, ექსპედიციების მუნიციპალიტეტის სოფლებში, ისტორიული სიძველეების მოძიება-დადგენა, ეთნოლოგიური ყოფის აღწერა, სხვადასხვა საგნების და ნივთების მოძიება, კავშირის დამყარება, ქუთაისის, ჯიხაშის, ვანის, მარტვილისა და ჩოხატაურის მუზეუმებთან გამოცდილების გაზიარების მიზნით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართულობის გაზრდა;
- ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობა;
- ელექტრონული სერვისების დანერგვა;
- თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- ახალგაზრდებში პროექტების მართვისა და ღონისძიებების მენეჯმენტისათვის აუცილებელი უნარების; განვითარების ხელშეწყობა;
- ახალგაზრდული თვითმმართველობის ფორმირება;
- მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართვა საერთაშორისო პროექტებში.

3.3 სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა 365,7 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 04 04)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს საბავშვო ბაღების რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას და სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას, ასევე საბავშვო ბაღის განთავსებისათვის საჭირო შენობის შეძენას.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები 2 082,5 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 05 00)

პროგრამის აღწერა: სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას, ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.
- ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლენა და წარმატებული სპორტსმენების რაოდენობის ზრდა.
- სპორტული მიღწევების გაუმჯობესება.
- მუსიკალური მიღწევების გაუმჯობესება.
- მასმედიის მედიატორის როლის გაძლიერება.
- მოსახლეობის მასიური ჩართულობა კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში.
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი პრესით.
- კულტურული ობიექტების გაუმჯობესება.
- ახალგაზრდების ჩართულობა მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- განახლებული სპორტული ინფრასტრუქტურა.
- კვალიფიციური პედაგოგების და მწვრთნელების მოზიდვა.
- მოსახლეობის ინფორმაციული უზრუნველყოფის გაზრდა.
- კულტურულ-რელიგიური ღონის ამღლეობა.
- ჯანსაღი თაობის აღზრდა.
- კულტურული ღონისძიებების ინტესიურობის გაზრდილი მაჩვენებლები.
- ახალგაზრდული ღონისძიებების გაზრდილი რაოდენობა.

4.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა 875,1 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01)



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

4.1.1. სპორტული ღონისძიების დაფინანსება 110,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01 01)

2017 წლის განვალობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებები. აგრეთვე, განხორციელდება სტადიონების რეაბილიტაცია.

4.1.2. სპორტული სკოლები 765,1 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02)

2017 წლის განვალობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:

- ა(ა)იპ - საცხენოსნო სპორტული კლუბი;
- ა(ა)იპკომპლექსური სპორტული სკოლა;
- ა(ა)იპ - საფრენბურთო კლუბი "ჯიკო";
- ა(ა)იპ - ხელბურთელთა კლუბი "სამტრედია";
- შპს სპორტკომპლექსი "სამტრედია";
- ა(ა)იპ - საჭიდაო კლუბი " ფალავანი"

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია არსებული ორგანიზაციების დაფინანსება.

4.1.2.1 ა(ა)იპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის "საცხენოსნო სპორტული კლუბი" 67,8 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საცხენოსნო სპორტული კლუბის მიმდინარე ხარჯები, ასევე ხელფასი.

პროგრამის აღწერა: "საცხენოსნო სპორტული კლუბი"-ს მიზანია წლის განვალობაში ჩატარდეს სპორტული შეჯიბრებები, ხელი შეუწყოს საცხენოსნო სპორტის განვითარებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- საცხენოსნო სპორტში მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- გამარჯვებულთა რაოდენობა

4.1.2.2 ა(ა)იპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის "კომპლექსური სპორტული სკოლა" 151,3 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02 02)

პროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება სპორტული სკოლის მიმდინარე ხარჯები.

სკოლის მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტის ხელშეწყობა და განვითარება, ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა და მუნიციპალიტეტში არსებული სპორტული ტრადიციების შენარჩუნება-გამდიერება. ახალგაზრდების მაქსიმალურად ჩართვა სპორტის სხვადასხვა სახეობათა ჯგუფებში. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია ბიუჯეტიდან სპორტის სუბსიდირების თვალსაზრისით დაფინანსება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- სპორტული ჯგუფების და სექციების ფუნქციონირება ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, კარატეში, მძლეოსნობაში, ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, რაგბსა და აკრობატიკაში.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობის ჯგუფებში, მონაწილეობა საქართველოს მასშტაბით (საჭიროების შემთხვევაში საზღვრებს გარეთაც) ჩატარებულ სხვადასხვა ჩემპიონატებსა და ტურნირებში.
- სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელ მასწავლებლებისთვის სამწვრთნელო პროცესის ნორმალური მიმდინარეობა.



- სოციალურად მძიმე ვითარების მიუხედავად სპორტის შეუფერხებელი განვითარება, ახალგაზრდა მომავალი თაობის ჩაბმა სპორტში, დასაქმება და მათი ჯანსაღი აღზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- ახალგაზრდობაში ჯანსაღი წესის დამკვიდრება
- სპორტულ სკოლაში არსებული სახეების პოპულარიზაცია
- ნაკრები გუნდების დაკომპლექტება, საქართველოს ნაკრების წევრების აღზრდა.
- შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება და ჩემპიონების გამოვლინება.
- მიღწევები სპორტში, იმერეთის, საქართველოსა და ევროპის ჩემპიონების აღზრდა.

4.1.2.3 ა(ა)იპ - „საფრენბურთო კლუბი ჯიკო“ 74,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02 03)

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება „საფრენბურთო კლუბი ჯიკოს“ მიმდინარე ხარჯები. „საფრენბურთო კლუბი ჯიკოს“ მიზანია მუნიციპალიტეტის ფარგლებში საზოგადოების ჯანსაღი წესით ცხოვრების პროპაგანდა, მოზარდ თაობებში მისი დამკვიდრება და პოპულარიზაცია. ინტენსიური მზადება ფრენბურთულ ქალთა გუნდ „ჯიკოს“ სხვადასხვა შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- სპორტსმენთა მიწოდება ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრების გუნდებისათვის.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- ეროვნულ და ევროპულ ჩემპიონატთა ლიგის თასზე მონაწილეობა.

4.1.2.4 ა(ა)იპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის „ხელბურთელთა კლუბი სამტრედია“ 94,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02 04)

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება „ხელბურთელთა კლუბის“ მიმდინარე ხარჯები. პროგრამის მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხელბურთის განვითარების ხელშეწყობა, საქართველოს მასშტაბით და მის ფარგლებს გარეთ გამართულ ჩემპიონატებში და ტურნებში მონაწილეობა, არსებული ტრადიციების შენარჩუნება და ახალი წარმატებების მოპოვება, ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- სპორტული ღონისძიებათა კალენდარის შემუშავებითა და შესრულებით სპორტული რეზერვების მომზადების ეფექტური სისტემის შექმნა.
- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა.
- მომავალი თაობის სწორი მიმართულებით განვითარება.
- ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა.

4.1.2.5 შპს „სპორტული კომპლექსი სამტრედია“ 233,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02 05)

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება შპს „სპორტული კომპლექსი სამტრედიის“ მიმდინარე ხარჯები და შრომის ანაზღაურება. შპს „სპორტული კომპლექსი სამტრედიის“ ძირითად მიზანს წარმოადგენს ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, აგრეთვე, სპორტსმენთათვის სამედიცინო-დიაგნოსტიკური, სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროცესის ორგანიზება; ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- ბავშვთა და მოზარდთა ჩაბმა სპორტულ საქმიანობაში.



შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროცესის ორგანიზება.

4.1.2.6 ა(ა)იპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი „ფალავანი“ 145,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02 07)

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება „საჭიდაო კლუბ ფალავანის“ მიმდინარე ხარჯები. ძირითადი მიზანია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა ჭიდაობის შესწავლაში, აგრეთვე, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ნაკრები გუნდებისათვის რეზერვების მომზადება, საწრთვნელი პროცესის ორგანიზება, მატერიალურ-ტექნიკური და საწრთვნელი ბაზის შექმნა, სამინისტროებისა და სხვა ორგანიზაციების დაკვეთით სპორტულ-მეთოდური საქმიანობის წარმოება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- ფუნქციონირებას გააგრძელებს სპორტული ჯგუფები და სექციები თავისუფალ, ბ/რომაულ, ქართულ ჭიდაობაში, ძიუდოსა და სამბოში.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდების ჩართვა ჭიდაობის სხვადასხვა სახეობებში.
- საწრთვნელი პროცესის ნორმალური განხორციელება.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- სოციალურად მძიმე ვითარების მიუხედავად სპორტის მეტნაკლებად შეუფერხებელი განვითარება.
- სპორტის სფეროში მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა.
- ჩემპიონებისა და პრიზიორების რაოდენობა.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა 812,6 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02)

სამტრედიის მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის, სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

4.2.1 სახელოვნებო სკოლები 428,1 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი მუსიკალური სკოლები:

- ააიპ დომენტი შანიძის სახელობის №1 სახელოვნებო სკოლა
- ააიპ №2 სამუსიკო სკოლა;
- ააიპ სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა
- ააიპ გომის თემის სამუსიკო სკოლა
- ააიპ სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა
- ააიპ დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა

ქვეპროგრამის აღწერა: სუბსიდიით ფინანსდება ხელფასები და სხვა მიმდინარე ხარჯი.

სკოლების მიზანია ცოდნის მიცემა მუსიკის სფეროში, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განათლებულ-კულტურულ ადამიანად ჩამოყალიბებას, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეთა გამოვლენას, მოზარდთა მხატვრული აზროვნების, გემოვნებისა და წარმოსახვის უნარის ჩამოყალიბებას, აგრეთვე, შემოქმედებითი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მოზარდთა მომზადებას კონკურსებისათვის და უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლისათვის.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- მოზარდთა მომზადება კონკურსებისათვის და უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლისათვის.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- კონკურსში მონაწილეთა და უმაღლეს სამუსიკო სასწავლებლისათვის მომზადებულ მოზარდთა



4.2.1.1 ა(ა)იპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის №1 სახელოვნებო სკოლა 132,2 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის №1 სახელოვნებო სკოლის ხელფასები მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 225 მოსწავლე.

4.2.1.2 ა(ა)იპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის №2 სამუსიკო სკოლა 53,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის №2 სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 130 მოსწავლე.

4.2.1.3 ა(ა)იპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა 39.0 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 51 მოსწავლე.

4.2.1.4 ა(ა)იპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა 55,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები სკოლაში ირიცხება 72 მოსწავლე.

4.2.1.5 ა(ა)იპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა 55,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 105 მოსწავლე.

4.2.1.6 ა(ა)იპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა 37,9 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 48 მოსწავლე.

4.2.1.7 ა(ა)იპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა 56,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეის მიმდინარე ხარჯები. ძირითადი მიზანია პირობები შეუქმნას სამტრედიაში მოღვაწე მხატვრებს თავიანთი შემოქმედების წარმოსაჩენად. ამავე დროს მიზნად ისახავს მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამხატვრო განათლება, აზიაროს ხატვის ხელოვნების საფუძვლებს, გააცნოს და შეაყვაროს ეროვნული კულტურის მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები, გალერეას ფონდში დღემდე დაცული რამდენიმე ფერწერული ტილოს აღდგენა-რესტავრაციას.

4.2.2 ა(ა)იპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი 306,8 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის მიმდინარე ხარჯები და შრომის ანაზღაურება. საქმიანობის სახეა კულტურის სხვა დაწესებულების საქმიანობა, მიზანი სოციალური ჯგუფების კულტურულ-შემცენებითი, სამეცნიერო-საგანმანათლებლო მოღვაწეობის უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- ღონისძიებისადმი მოსახლეობის დაინტერესება



შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- მაყურებელთა რაოდენობა

4.2.3 ა(ა)იპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის „ბიბლიოთეკა“ 77,7 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ბიუჯეტიდან ფინანსდება ა(ა)იპ - მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის მიმდინარე ხარჯები და შრომის ანაზღაურება. მიზანია მოსახლეობის მომსახურება საბიბლიოთეკო ფორმებით და მეთოდებით, ახალი წიგნების, ჟურნალ-გაზეთების მიწოდება, ლიტერატურული სადამოებო, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან და სხვა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- წიგნისადმი მოსახლეობის ინტერესის ზრდა

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- მკითხველთა რაოდენობა

4.3 შპს „სამტრედიის მაცნე“ 65,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 03)

ქვეპროგრამის აღწერა: იგი ერთადერთი გაზეთია, რომელიც მაქსიმალურად აშუქებს ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს საქმიანობას. შპს ” სამტრედიის მაცნე ” მიზანია სტაბილურად გამოცემის უზრუნველყოფა და მოსახლეობაზე მიწოდება, ამავე დროს უზრუნველყოფს პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული და შემოქმედებითი საკითხების გაშუქებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- გაზეთისადმი მოსახლეობის ინტერესის ზრდა გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიცისტური და სოციალურ-საყოფაცხოვრებო თემატიკის შემცველი მასალებით.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- მკითხველთა რაოდენობის ზრდა
- პროფესიულ დონეზე მოთხოვნადი მასალების მომზადება.

4.4 ა(ა)იპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საინფორმაციო ცენტრი“ 38,9 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 05 04)

ქვეპროგრამის აღწერა: საინფორმაციო ცენტრის მიზანს წარმოადგენს მჭიდრო ურთიერთობა ადგილობრივ ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის, რისთვისაც შექმნილია საინფორმაციო ყუთი და ცხელი ხაზი. მის მიერ შექმნილი ოფიციალური ვებ. გვერდზე (www.samtredia.com.ge) განთავსებულია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ოფიციალური პირების შესახებ, ასევე, კულტურული და საზოგადოებრივი საკითხები, პერმანენტულად შუქდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ახალი ამბები. მისი მიზანია ურთიერთობა ახალგაზრდებთან და არაფორმალური განათლების კუთხით მუშაობა. საინფორმაციო ცენტრი ახორციელებს სოციალურ პროექტებს.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- მოსახლეობის დაინტერესება ცენტრის მუშაობით.
- სოციალური პროექტის ამოქმედება (ინგლისური და კომპიუტერების კურსები).
- სამტრედიის მუნიციპალიტეტის საიტის შექმნა.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- საიტის სტუმართა რაოდენობა.
- სოციალური პროგრამის მსურველთა რაოდენობა.
- პერიოდული სოციალური გამოკითხვები ექვს თვეში ერთხელ.

4.5 ახალგაზრდული ორგანიზაციების კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების



დაფინანსება 40,9 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში პროგრამის ფარგლებში.

4.5.1. ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება 20,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 05 01)

ფინანსდება სხვადასხვა ახალგაზრდული ღონისძიებები.

4.5.2 კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება 20.9 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 05 02)

ფინანსდება კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის სხვადასხვა ღონისძიებები.

4.6 ხონი-სამტრედიის ეპარქიის დაფინანსება 250,0 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 05 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხონი-სამტრედიის ეპარქიის სუბსიდირება, დაფინანსდება მთავარი საკათედრო ტაძარი.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 1 086,2 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

5.1 ა(ა)იპ - საზოგადოებრივი „ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი“ 109,5 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:

- გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები;
- იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა;
- იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანი ფაუნის გავრცელების შესწავლა;
- პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები;
- პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა;
- დაავადების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა;
- სანიტარიული ღონისძიებები.

5.2 სოციალური პროგრამები 976,7 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეულ შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურეობის ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას.



5.2.1 ა(ა)იპ - სახლი „თანადგომა“ 170,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 06 02 01)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

- მარტოხელთათვის და სოციალურად დაუცველი პირებისათვის უფასო სასადილოთი სარგებლობა (130 სოციალურად დაუცველი პირი);
- მარტოხელა პენსიონრებისათვის და სოციალურად დაუცველი პირებისათვის უფასოდ პურის სარგებლობა (360 სოციალურად დაუცველი პირი);
- პირველი ჯგუფის ინვალიდებისათვის ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით ამანათების მომზადება (18 წლამდე ასაკის 75 ბავშვი);
- დღერგმელი პირებისათვის მოხუცთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ამანათების მომზადება (100 და 100 წელს ზემოთ);
- მარტოხელა და სოციალურად უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი პირებისათვის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით ამანათების მომზადება (135 სოციალურად დაუცველი პირი) ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით მრავალშვილიანი ოჯახებისათვის ამანათების მომზადება (5 და მეტი შვილი).

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- მარტოხელა და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების კვებით უზრუნველყოფა, რომლებიც მიეკუთვნებიან უმწეოთა კატეგორიას.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კვებით უზრუნველყოფილ მოქალაქეთა საშუალო რაოდენობა

5.2.2 ა(ა)იპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი“ 97,7 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის აღწერა: მარტოხელა მიუსაფარ მოხუცებს ადგილებზე გაეწიოთ მზრუნველობა, კერძოდ, სხვადასხვა სახის აუცილებელი დახმარება, საყოფაცხოვრებო-სოციალური პირობებით უზრუნველყოფა, დღე-ღამის განმავლობაში სამჯერადი კვება, შემოსვა, სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება, მედპერსონალისა და სანიტართა სადღეღამისო მორიგეობა, მათი ინტერესების დაცვა და წარმოჩენა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მათი ჩაბმა საზოგადოებრივად აქტიურ საქმიანობაში.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის მკვიდრ მიუსაფარ მარტოხელა მოხუცთა უმძიმესი მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესება.
- სულიერი მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მდგომარეობაგაუმჯობესებულ ხანდაზმულთა რაოდენობა.
- გაუმჯობესებული სულიერი მდგომარეობა ხანდაზმულებში.

5.2.3 დედათა და ბავშვთა დახმარება 124,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 06 02 03)

- ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- ახალშობილთა დახმარება

1. ერთჯერად (თითო ბავშვზე) 100 (ასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ პირველი და მეორე შვილი და რომლებსაც მინიჭებული აქვთ 0–დან 100 000–მდე სარეიტინგო ქულა.
2. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-3 შვილი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ 200 (ორასი) ლარის ოდენობით.
3. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-4 შვილი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ 250 ლარის ოდენობით.



4. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-5 შვილი და მეტი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ 400 ლარის ოდენობით.
5. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ ტყუპები დაფინანსებას მიიღებენ თითოეულ შვილზე: პირველი და მეორე შვილისა და მეორე და მესამე შვილის შემთხვევაში - 200 ლარს, მესამე და მეოთხე შვილის და მეტის შემთხვევაში - 400 ლარს.
6. ახალშობილთა ერთჯერადი დახმარება გაიცემა, თუ ახალშობილი დაიბადა 2016 წლის 1 სექტემბრის შემდეგ და დახმარება არ აქვს აღებული.

- მრავალშვილიანი ოჯახებისათვის (4 ან მეტი შვილი 18 წლამდე) ფულადი დახმარება (თვეში 20 ლარი თითოეულ ბავშვზე).

5.2.4 სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება 565,0 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

1. მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება

- მოქალაქეთა ოპერაციების დაფინანსება - მოქალაქე, რომელიც დაავადებულია გულსხლძარღვთა დაავადებით, ონკოლოგიური დაავადებით, გინეკოლოგიური დაავადებით და ასევე სხვა სიცოცხლისათვის საშიში დაავადებით და საჭიროებს გადაუდებელ ოპერაციას, ქიმიოთერაპიას, კოქსარტოროზი, გონარტოროზი, ანევრიზმა, თრომბოფლებიტი და სხვა დაავადებების სტაციონარული მკურნალობა (თანადაფინანსებით პაციენტის გადასახდელი თანხის 50%, განსაკუთრებულ შემთხვევაში პიროვნების სოციალური სტატუსისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით თანადაფინანსების 70 -100%-ით) დაფინანსდეს 100-დან-500 ლარამდე.(დაფინანსებას მიიღებენ მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-ს, განსაკუთრებულ შემთხვევაში შუამდგომლობა გამგებლის წარმომადგენლის, მოქალაქის მძიმე სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ).

- მოქალაქეთა სამედიცინო გამოკვლევის დაფინანსება - მოქალაქეები, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა სამედიცინო გამოკვლევებს, დიაგნოსტიკას, კომპიუტერულ კვლევას, მაგნიტურ-რეზონანსულ კვლევას, PET (პოზიტრონულ ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია)-კვლევას, (თანადაფინანსების 50 %, განსაკუთრებულ შემთხვევაში პიროვნების სოციალური სტატუსისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით თანადაფინანსების 70-100%), დაფინანსდეს 100- დან -300 ლარამდე. (დაფინანსებას მიიღებენ მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70000-ს, განსაკუთრებულ შემთხვევაში შუამდგომლობა გამგებლის წარმომადგენლის, მოქალაქის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ).

2. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა:

- მოქალაქეებისათვის, რომლებიც არიან ქრონიკულად დაავადებულები (ეპილეფსია, პარკისონი, დიაბეტი-გართულებული ფორმით, ასთმა, ინსულტი, ინფარქტის შემდგომი მკურნალობა, შიზოფრენია და ფსიქონერვული დაავადებები, სისხლძარღვოვანი დაავადებები და სხვა, იშვიათი მძიმე დაავადებები), პიროვნების სოციალური სტატუსისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, წლის განმავლობაში მედიკამენტებისათვის გაიცეს 150 ლარამდე (გარდა გამონაკლის შემთხვევისა). მძიმე და განსაკუთრებულ შემთხვევებში ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების დროს მედიკამენტების ღირებულების მესამედის თანადაფინანსება 300 ლარამდე. (დაფინანსებას მიიღებენ მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-ს, განსაკუთრებულ შემთხვევაში შუამდგომლობა გამგებლის წარმომადგენლის, მოქალაქის მძიმე სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ).

- მოქალაქეებისათვის, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებენ მედიკამენტოზურ მკურნალობას წლის განმავლობაში მედიკამენტებისათვის გაიცეს 100 ლარამდე.(დაფინანსებას მიიღებენ მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70000-ს, განსაკუთრებულ შემთხვევაში შუამდგომლობა გამგებლის წარმომადგენლის, მოქალაქის მძიმე სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ).

- ომის ვეტერანებისათვის, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებენ მედიკამენტოზურ მკურნალობას, წლის განმავლობაში მედიკამენტებისათვის გაიცეს 200 ლარამდე, გარდა გამონაკლის შემთხვევისა;



3. სტუდენტების დახმარება

- უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტებს 500 ლარით გაეწევათ ერთჯერადად;

ა) დედ-მამით ობოლი;

ბ) მრავალშვილიანი (4 და მეტი შვილიანი) ოჯახებიდან;

გ) სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, რომელთაც აქვთ მინიჭებული 0-დან 57000- ჩათ. სარეიტინგო ქულა.

4. უდედმამო ბავშვების დახმარება

მოსარგებლე 18 წლამდე ბავშვები, რომლებსაც გარდაეცვალათ მშობლები, ან ბავშვები, რომელთა მშობლების ადგილსამყოფელი უცნობია და ზრდის მეურვე ან მზრუნველი;

- უდედმამო ბავშვებზე 0-დან 18 წლის ჩათვლით დახმარება გაიცემა ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე 50 ლარის ოდენობით.

5. ასი და მეტი წლის ასაკის უზუცეს დღეგრძელთა დახმარება

ერთჯერად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ სამტრედიის მუნიციპალიტეტისა და ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული მოქალაქეები, რომელთაც შეუსრულდათ 100 და მეტი წელი.

6. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (ვეტერანთა) სოციალური დახმარება

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერად 200 (ორასი) - ლარიან სოციალურ დახმარებას მიიღებენ შემდეგი კატეგორიის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახები და ომის მონაწილეები:

ა) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ინვალიდები;

ბ) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახები;

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერად 100 ლარიან სოციალურ დახმარებას მიიღებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლები, მარჩენალდაკარგულები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებული, რომლებიც წარმოადგენენ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, რომელთაც გააჩნიათ 0-დან 100000 სარეიტინგო ქულა.

7. მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება

- ადგილობრივი ბიუჯეტიდან ანაზღაურდება შემდეგი სახის სარიტუალო მომსახურება:

ა) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება

ბ) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება

გ) თანხა გაიცემა 250 ლარის ოდენობით.

8. ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა ფინანსური დახმარება;

- ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა და გარდაცვლილ ოჯახის წევრთა ფინანსური 100-100 (ას-ას)-ლარიანი დახმარება 26 აპრილს;

9. დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების დახმარება



ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ჰემოდიალიზზე მყოფი ბენეფიციარების დახმარებას თითოეულისათვის 200 ლარი ყოველთვიურად.

10. ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით, დიაბეტით და აუტიზმით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური დახმარება.

1. ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა (18 წლამდე) აღრიცხვას და ყოველთვიურ დახმარებას 200 ლარის ოდენობით;

2. ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება;

ითვალისწინებს ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა (18 წლამდე) აღრიცხვას და ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით;

3. დაუნის სინდრომით დაავადებული ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს დაუნის სინდრომით დაავადებული ბავშვების ერთჯერად ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით.

4. დიაბეტით და აუტიზმით დაავადებული ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს დიაბეტით დაავადებული ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით.

5. ნივთიერებათა ცვლის მოშლით მიმდინარე დაავადებები, ჰიპერალანინემია და სხვა იშვიათი დაავადების მქონე ბავშვები (18 წლამდე) ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს აღნიშნულით დაავადებული ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით.

11. 2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილ მეომართა ოჯახების ფინანსური დახმარება

ითვალისწინებს 2008 წელს გარდაცვლილ მეომართა ოჯახის წევრების ერთჯერადად დაფინანსებას - 500 ლარით

12. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარება;

- ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევთ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო, სმენადაქვეითებულ, ყრუ-მუნჯ მოქალაქეებს 200 ლარის ოდენობით.

- ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევთ შეზღუდული შესაძლებლობის პირებს, რომლებიც ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად გადაადგილებას 150 ლარის ოდენობით.

- ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევთ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და ასევე ფსიქონერვული და შიზოფრენიით დაავადებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, 100 ლარის ოდენობით;

- ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემა შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებს 18 წლამდე, 200 ლარის ოდენობით;

- ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემათ ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით და დაუნით სინდრომით დაავადებულ 18 წლის ზემოთ მოქალაქეებს 200 ლარის ოდენობით;

- თუ ბენეფიციარს დახმარების მიღების უფლება აქვს ამ მუხლის „1“, „2“, „3“, „4“, „5“ პუნქტით გათვალისწინებული ერთდროულად ერთზე მეტი საფუძვლით, დახმარება მიეცემა მხოლოდ ერთი საფუძვლით, მათ შორის მაქსიმალური თანხის უპირატესობით.

13. ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში

ოჯახებისათვის, რომელთაც შექმნილი აქვთ განსაკუთრებულად მძიმე სოციალური მდგომარეობა (ტრაგედია, უბედური შემთხვევა, კატასტროფა და სხვა), ერთჯერადი დახმარების ოდენობა განისაზღვოს გამგეობაში შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების მიერ, რომლის ოდენობაც განისაზღვროს (100 -500) ლარის ოდენობით.

- ოჯახებისათვის, რომლებიც დგანან სიღატაკის რისკის ქვეშ (ენგრევით საცხოვრებელი სახლი, ან საჭიროებენ გადაუდებელ მინიმალური სარემონტო სამუშაოების ჩატარებას) ერთჯერადი ფინანსური დახმარების



ოდენობა განისაზღვროს გამგეობაში შექმნილი კომისიის მიერ 100-500 ლარის ოდენობით.

- მოქალაქეების, რომლებიც არიან მარტოხელები, ფსიქიკურად დაავადებულები, შეჭირვებულები, არასაპენსიო ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არიან შრომისუნარონი გამგეობაში შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მიეცეთ ყოველთვიური ფინანსური დახმარება 30 ლარის ოდენობით.

